

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძეგლი ქართული ენის კათედრის შრომები. 23. 1980

აქაკი შანიძე

ეტიმოლოგიური შენიშვნები: ქართლი, ქართველი*

თავდაპირველად „ქართლი“ აღნიშნავდა მთელ საქართველოს (კოლხეთის გამოკლებით), ამეამად კი იგია აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია. „ქართველი“ ყოველთვის იყო და არის ჩვენი ეროვნული სახელი.

სიტყვები ქართლი და ქართველი ეტიმოლოგიურად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ ქართლი ერთ ფუძეს ემყარება, ქართველი კი — სხვას.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება რამდენიმე ცდა ამ სიტყვების ახსნისა ეტიმოლოგიურად (ნ. მარისა, ივ. ჯავახიშვილისა, ნ. აღონცისა, ლ. მელიქეთბეგისა, გრ. ლაფანციანისა), მაგრამ არც ერთი მათგანი ისტორიულ სიმართლეს არ შეეფერება.

ნ. მარის აზრით, ქართ ფუძე, რომელიც ქართლ-ში და ქართულ-ში გვაქვს, წარმოდგება ქასდ-ისაგან, ხოლო ქართველი წარმომდგარია ასე: ქართ ფუძეს ერთვის ორქაული ივერიული სუფიქსი მრავლობითი რიცხვისა ი ვ (ქართივ), რომელსაც ერთვის წარმომავლობის სუფიქსი ელ და მიღებულია ქართივ-ელი, რომელმაც შემდეგ ქართველი ძოგვცა. ამგვარად, ფუძე ქართ აღის უფრო ძველ ქასდ ფორმამდე, რაც მრავლობითი რიცხვის სუფიქსის დართვით ქასდივს გვაძლევს, ეს კი არის ზუსტი გამოცემა ებრ. ქაშდიმ ისა¹.

შემდეგ ნ. მარი სხვაგვარად ხსნიდა: „რაც შეეხება ფუნქციონალურ ნაწილს ქართველ სიტყვისას, რომელიც ქართველთა ეროვნული სახელწოდებაა, ე. ი. ველ-ს ანუ ვერ-ს, იგი მან-ის ვარიანტია, რომელიც გარდან-ის შემადგენელი ნაწილია.²

ნ. შარს მიაჩნდა, რომ „ქართლი“ მიღებულია ქართუ-ი ფორმისაგან³.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „დასასრულ, ურ-კაშდიმ-ის შესახებ. იქ ცხოვ-რობდა, სხვათა შორის, მამათმთავარი აბრამაში; რომელ ქვეყანას გულისხმობდა „დაბადების“ დამწერი, ან მისი შეარო, როდესაც ამ „ურ-კაშდიმ“-ს იხსენიებდა, ჯერ კიდევ საცილობელია. ამ საკითხის გამოსარკვევად მრავალი მასალები აქვს შეკრებილი დილლ მანს. ზოგს „ურ“ სამხრეთ ბაბილონში ევფრატის პირას მდებარე დაბა „მულერად“ მიაჩნია, რომელსაც წინათ „ურუ“ ერქვა (Holzinger. Genesis 118—119). მაგრამ ისეთი იზრიც არსებობს, რომ „ურ-კაშდიმ“-ად ის

* წაკითხულია მოხსენებად თბილისის უნივერსიტეტის ძეგლი ქართული ენის კათედრისა და ფილოლოგიური ფაკულტეტის გაერთიანებულ სხდომაზე 17.11. 1977 წ.

¹ Н. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими. СПб., 1908, стр. 5.

² Грузинский язык (წიგნში: Язык и история, изд. ГАИМК, I. 1956, გვ. 39).

³ Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием, ЗВО, т. XVI, 1905, стр. 166.

ადგილია ნაგულისხმევი, საღაც თქმულებისამებრ ვითომც ნოეს კიდობანი გაჩერდა: ეს იგი არარატის სანახები (იქვე 119). უკანასკნელი აზრი, ვგონებ, უნდა სიმართლესთან ახლო იყოს იმიტომ, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი „ქაშდიმ“ ქართველების სახელია: კაშდიმ=კახდივ=ქართ-ივ. აქ იმ და ივ მრავლობითი რიცხვის (=ებ) ნიშანია. მაგვარი ბგერათა ცვლილება „შ“-ის „ს“-ად, ხოლო შემდეგ „რ“-ედ ქცევა ქართულში ჩვეულებრივა მოვლენაა, მაგ., შჯული=სჯული=რჯული. მაშასა-დამე, დაბადების „ქაშდიმ“ ქართებსა ნიშნავს, ხოლო „ურ-ქაშდიმ“ ურარტუს ქართებს“⁴.

ი. ჭავახიშვილი განაგრძობდა: „ჩვენი ეროვნების სხვადასხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უძველესი პინატრობისა და სამშობლოს სახელია შემონახული. ავილოთ, მაგალითად, სიტყვა „ქართველი“: „ელი“ საღაურობის ანუ ჩამომავლობის აღმნიშვნელი საკვეცია, როგორც, მაგ., გორელი, თელაველი, ჯიხაიშელი, ოკრიბელი და სხვა.; ყველა ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ საკვეცი „ელი“ ქვეყნის ანუ ადგილის სახელს ერთება ხოლმე (გორი, თელავი, ჯიხაიში, ოკრიბა); მაშასა-დამე, სიტყვა „ქართველის“ პირველი ნაწილიც „ქართუ“ ქვეყნის სახელი უნდა იყოს. განვიხილოთ ებლა კარდუხების სახელი, რომელთა ქვეყანაშიც მდ. კინტრიტი (კინტრიშის მოსახელეა) დიოდა. სიტყვა „კარდუხი“-ც ჩვეულებრივ ეროვნების აღმნიშვნელი საკვეც „ხი“-თ ბოლოვდება, ამ სიტყვის პირველი ნაწილიც უნდა ქვეყანასა ნიშნავდეს; ავილოთ, მაგალითად, სახელი ტაოხი, კოლხი; ორივეს რომ საკვეცი მოვაშოროთ, რჩება ტაო—იმ ქვეყნის სახელი, რომელსაც სომხები „ტაიქ“-ს ეძახდნენ და ჭოროხსა და თორთუმის წყალს შორის მდებარეობდა. მაშასა-დამე, ტაოხი უდრის ტაოელ ტომს. სიტყვა „კოლხი“-საც რომ საკვეცი მოვაცილოთ, დაგვრჩება „კოლ“, იგივე კოლა, იმ ქვეყნის სახელი, საღაც მტკვრის. სათავეა. მაშასა-დამე, ზემომოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ სიტყვა „კარდუ“-ც ქვეყანას უნდა ნიშნავდეს და „ქართუ“-ს უდრის; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეორე სიტყვაში ფშვინავი თანხმოვნები ზის: „კ“-ანის მაგივრ „კ“-ანი, ხოლო „დ“-ონის მაგიერ „თ“-ანი. კარდუხი, როგორც ვიცით, ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური შტოის სახელია.

• მეგვარად, დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართ-მეგრული შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართველი, კარდუხი) ერთი და იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება: იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოის ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უკეთელია, იგი ქართველების თავდაპირებისა და ერთობლივი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო.

• ამ სამშობლოს სსოფა მესამე შტოს წარმომადგენელია სეანებსაც აქვთ შერჩენილი. სვანეთში ებლაც მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც „კალდე“ ანუ ხალდე ჰქვია. ერთი სიტყვით, ხალდე ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირებულ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს კართუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა კალდე არის; ტუკლატ-ადარ I-ის 1275 (ქრ. წ.) წარწერაში იგი „ქვეყანა კარდუ“-დ⁵ იწოდება⁶ სწორედ ისე, როგორც ამ ქვეყნის სახელი კარდუხების საკუთარ სახელწოდებაშია შესული⁷.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართველთა სხვადასხვა სატომი სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა: ქართველი ერის ისტორია, წ. I, მერთხევამ 1951, გვ. 402 (წერილი გადმობეჭდილია „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე გამოცემიდან, რომელიც 1913 წ. გამოვიდა).

⁵ Keilinschrifliche Bibliothek. I, 11.

⁶ ქართველი ერის ისტორია I, 1951, გვ. 403—404.

ნიკოლოზ ადონციც აგრეთვე კარლუხების კარლუ ფუძეს უდარებდა ქართულს, რომლისაგანაც წარმოდგება მისი აზრით ქართულ-ი⁷.

„ქართველ“ სიტყვის წარმოშობის საკითხის გამორკვევას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ჩემმა ამხანაგმა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, შემდეგ პროფესორმა ერევნის უნივერსიტეტში, ენათმეცნიერმა გრიგოლ ლაფანციანმა (Григорий Капанцян). გამოკვლევის სათაურია „Е происхождению грузинского национального имени Kharthveli“. გამოკვლევა 25 გვერდისაგან შედგება, დაბეჭდია 1939 წ. ერევნის უნივერსიტეტის გამომცემლობაში და გადაიბეჭდა 1975 წ. გრ. ლაფანციანის რუსული ნაწერების II ტომში⁸.

ავტორის აზრით, ქართველი ასედაიშლება: ქართველი. ძირია ქართ, რომელიც ნათლად ჩანს ქართულ-ში (<*ქართნი?) და ქართულ-ში.

ქართველ სიტყვის პირველი ნაწილის შესახებ გრ. ლაფანციანი გაკვრით ამბობს, რომ არ შეიძლება უშუალოდ დამტკიცდეს, რომ „ქართ“ ენათქსავებოდეს კარლუ // გორდუს. იგი უმთავრესად მეორე (ველ) ნაწილის შესახებ მსჯელობა და ამბობს, რომ ეს ველ მიღებულია ბერ-ისაგან, რომელიც პირველად „სახლს“ აღნიშნავდა და შემდეგ მიღლო მნიშვნელობა გვარისა, ტომისა, უკანასკნელ კი კაცისა ქართ-სახლიდან (человека из карт-дома).

ბერ ძირი გვარის მნიშვნელობით, ავტორის აზრით, ახლაც გვხვდება სა-ქართველოში. ასეთია მაგალითად, კახა ბერ-ი (კახაბრის ხევი აჭარაში), რომელიც სხვა არა არის რა, თუ არ კახა-გვარი (შერ. კახეთ-ი კახთა ქვეყნა). გრ. ლაფანციანს არ ეეჭვება, რომ ზოგიერთი ქართული გვარი, რომლებშიაც შედის ეს ბერ (ბერ-ია, ბერ-იძე, ბერ-იტაშვილი, ლოლო-ბერ-იძე, მიქა-ბერ-იძე და სხვ.) აგრეთვე ნაშთია ამ ძველი ბერ-ისა და, მაშასადამე, ბერია ან ბერიძე, რომლებიც როგორც სიტყვები თავდაპირველად საზოგადო შინაარსისა იყო (нарицательного содержания) პირველად (первично) მათ უნდა აღენიშნათ „ეს (ჩამომავალი) გვარისა“, გვაროვნული კაცი (родич), ხოლო ფეოდალური წყობილებისას შეიძლება ნიშნავდა კიდეც ამას: „კარგი გვარისა“, „კეთილშობილი“ და სხვ. ადგილის სახელი საბერით აღბათ აღნიშნავდა „(აღვილს) გვარისათვის“.

ამ ბერ-ს გრ. ლაფანციანი პოულობდა სომხურშიც; ასეთია ტაშ-ბერ, ტარ-ბერ-უნი, ქაჯ-ბერ-უნი, რაც საკუთრივ ამას აღნიშნავდა: თამ-род, თარ-род, კაჯ-род.

ლ. მელიქშეთ-ბეგი ფიქრობდა, რომ „ქართველი“ შეიცავს ორი ეროვნების სახელის შეერთებას: ქართ-ივერი⁹

არც ერთი ამ ახსნათაგანი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება.

რომ ნათლად გავერკვეთ საქმის ნამდვილ ვითარებაში, უნდა მოვიგონოთ, რომ გარკვეული ისტორიული პირობების გამო შეიძლება ერთი ერის სახელი სხვა ერის სახელად იქცეს. ამისი მაგალითი რამდენიმეა და ერთი მათგანი არის ბულგარი. თავდაპირველად ეს სიტყვა აღნიშნავდა ვოლგის შუა მდინარებაზე მცხოვრებ თურქ ხალხს, რომლის ერთი შტო დაიძრა დასავლეთისაკენ, გადალახა რუსე-

⁷ Н. А д о н ц. Армения в эпоху Юстиниана. СПб., 1908, стр. 398.

⁸ Г. А. Капанцян, Историко-лингвистические работы, II. Издательство АН Арм. ССР. Ереван, 1975, стр. 39—62.

⁹ Гр. Капанцян, К происхождению... б (Историко-лингвистические работы II. 40).

თისა და უკრაინის ველები, მიაღწია დანუბამდე (დუნაიმდე) და დაიპყრა ადგილობრივი სლაური ერი. ეს მოხდა მე-5—შე-6 საუკუნეში. შემდეგ ეს დამპყრობი ერი გაითქვიფა დაპყრობილ ერში. დაქარგა თავისი ენა, მაგრამ თავისი სახელი გადასცა ამ დაპყრობილ ერს, რომელსაც იგი შეერია და რომელშიც გაითქვიფა სრულიად. ბულგარლები (ანუ ბოლგარლები, ძველი ქართულით ბორლალნი) სლაური ერია, მაგრამ სახელი თურქული აქვთ.

რაღაც ამის მსგავსი მომხდარი საქართველოშიც. თავდაპირველად ქართლი აღნიშნავდა ერს, რომელმაც დაიპყრა მცხეთა და მიმდგომი ქვეყნები, კარგა ხანს იბატონა აქ, შემდეგ თანდათანობით გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში, თავისი ენა დაკარგა. მაგრამ თავისი სახელი კადასცა დაპყრობილ ერს, რომელიც წინათ, ალბათ, მესხების სახელით იყო ცნობილი.

ცნობა ამ დამპყრობი ერის შესახებ მოიპოვება „ქართლის მოქცევაში“, რომელიც შემონახულია ცნობილს შატბერდის კრებულში. ეს კრებული გადაწერა ითანებულია აღნიშნული 973 წლის ახლო. ამ წელს კი მან გადაწერა პარხლის ოთხთავი იმავე შატბერდში და შეწირა პარხალს. თვით „მოქცევაზ ქართლისად“ წარმოშობით უფრო ძეგლი ძეგლია და მე-7 საუკუნის I ნახევარს უნდა მიეკუთვნებოდეს. ძეგლი გამოსცა კ. თაყაიშვილმა ორჯერ: 1890 წ.¹⁰ და 1912 წ.¹¹

მოიპოვება აგრეთვე თ. უორდანის გამოცემა¹². „მოქცევის“ იმ ნაწილში, რომელსაც აქ ვეხები, ვიყენებ ს. ჭანაშის შესწორებულ ტექსტს, რომელიც მან დაბეჭდა თავის ამ გამოცემებაში: „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველი საცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სატორის სინათლეზე“¹³. კ. თაყაიშვილი და თ. უორდანია არიან-ის ნაცვლად არან-ს კითხულობინენ და კერპის სახელიდ გა-ს ნაცვლად გაიმ-ს.

„ქართლის მოქცევაში“ ორჯერ გვხვდება სიტყვა ქართლი, შეერთებული არიან სატყვასთან: არიან-ქართლი. მაგალათები ტექსტიდან: „და თანა ჰყვენდა ალექსანდრეს მეფესა აზ აუ, ძუ არიან-ქართლისა მეფისაც. და მას მიუბოძა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაც ცროლისა და წარვიდა“. ალექსანდრედ აქ იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი, მაგრამ მისი ხსენება აქ უადგილოა, რადგანაც კარგად ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არ ყოფილა. მაგრამ ამპები, რომელებზეაც აქ საუბარია, და რომლებიც უფრო გეიან მოხდა (საფიქრებელია, II ს. ში ჩ. წ.-მდე), რამდენადმე ნდობის ლირსია.

ქრონიკა განაცრობს: „ხოლო ესე აზოვ წარვიდა არიან-ქართლი და შამისა თვალისა და წარმოიყვანა რვაც სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძეგლ მცხეთას. და თანა ჰყუანდეს კერპი ღმრთად გაცი და გა. და ესე იყო პირველი მეუღლე მცხეთას შინა აზოვ, ძუ არიან-ქართველთა მეფისაც, და მოკუდა.. და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ“.

გვხვდება არიან-ქართლი აგრეთვე წმ. ნინოს „ცხოვრებაში“, რომელიც შატბერდის კრებულში უშეალოდ მოსდევს „ქართლის მოქცევის“ ტექსტს. აქ

¹⁰ სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 1—39.

¹¹ Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, Тифлис, 1906—1912, стр. 708—735.

¹² თ. ეთრდანიანი, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. I, 1892, გვ. 11—14, 17—19; 27—33.

¹³ ს. ჯანიშვილი, შრომები II, 1952, გვ. 41—42.

ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ ქართლი მე პართნი ფორმის ცვლილებად მიმაჩინია. ნარის ლასად ქცევა ამ შემთხვევაში აღვილი ასახსნელია (პართნი > პართლი). უფრო დამაფიქრებელია პარის ქანად ქცევა.

უნდა ვითქიქოთ, რომ პ მ პირველად კ მოგვცა (კართნი), რომლის მაგალითია დიალექტური (გურული) კორფილე პორფილეს ნაცვლად. შემდეგ ეს კ ნაწილობრივ დაემსგავსა მომდევნო თ-ს და მიეიღეთ ქართნი და აქედან ქართლი.

პართების ლაშქრობა სომხეთზედაც უნდა გავრცელებულიყო და გავრცელდა კიდეც.

პართი სომხური ფორმით არის „პართევ“. პართებს რომ გარკვეული გავლენა მოუხდენიათ სომხეთზე, იქევან ჩანს, რომ ზოგიერთი სომხეთი მოლვაწე პართელად (პართევ-ად) არის ცნობილი, პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ სომხეთა განმანათლებელი გრიგოლი, რომლის შესახებ მოსე ხორქელს ნათქვამი აქვს: „ესე (გრიგოლი), როგორც ყველასათვის ცნობილია, ქვეყანით პართელი იყო, პარლავ მხარიდან“ (სომხეთის ისტ., II, 91). პარლავ კი იგივე პართავ არის, მიღებული საშუალო სპარსულის ფონეტიკური წესების მიხედვით.

გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრებაში, რომელიც სომხურიდან ქართულად არის თარგმნილი ადრინდელ ხანაში, გრიგოლი პართელად არის ნახსენები: თუმ-სა სეკდემბერსა 30-სა, ცხოვრებად და მოქალაქობად და ამისსა შემდგომად წამებად წმიდისა მღდელ-მოწამისა გრიგოლი პართელ ისახ. ხოლო თვით „ცხოვრებაში“ პართების სახელია პართნი, მაგ., „და ესრეთ შემოკრბეს ყოველნი ერნი პართანი და ალიარეს მეფედ ყოველთა არტაშირი“¹⁷.

ჩაკი გამოირკვა ქარლ-ის ეტიმოლოგია, ადვილია „ქართველისა“ და „ქართულის“ ახსნა.

ქართველ-ი წარმომდგარია პართის ქვეყნის სახელისაგან, რომელიც პართავა იყო, შეძლევ კი პართავ. მას დაპროვია წარმომავლობის სუფიქსი ელ, რომელსაც ამოულია წინამავალი ხმოვანი: პართ-ავ-ელ > პართ-ვ-ელ-ი > ქართ-ველი.

რაც შეეხება „ქართულ“-ს, იგიც იმავე პართავ-ისაგან არის ნაწარმოები ულ-ის დართვით. ამ ულ-ს ამოულია წინამავალი ხმოვანი, მაგრამ ამასთანავე ერთად დაკარგულა ვ, რომელიც ფუძის შეუმშევის შემდევ უშუალოდ უნის წინ აღმოჩენილა: პართავ-ულ-ი > პართელი > პართული > ქართული. ამგვარად, ქართლისა და ქართველის ეტიმოლოგიურმა ძიებამ გადაგვიშალა თვალს წინ დიდი ისტორიული ამბები, რომლებიც დატრიალებულა ჩვენში, ალბათ, მეორე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

გ. მელიქიშვილი თავის ცნობილ გამოკვლევაში ამბობს: „დაწყებული, ყოველ შემთხვევაში, II საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენს ერამდე, როდესაც პართელთა ძლიერება ძალიან გაიზარდა და პართელებმა სელევკიდებს მთელი რიგი გამანადგურებელი დამარცხებანი აგერძეს და თავისი პოლიტიკური გავლენა სომხეთზე გავრცელეს, უნდა ვითქიქოთ, რომ ქართლისა და პართის ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ ინტენსიური გახდა, იმ დროს, პოლიტიკური პირობებიდან გამოსვლით, როგორც ჩანს, ქართლის მფლობელები პართიაში ეძებდნენ მოკავშირე, თავის მეტოქის არმენიის წინააღმდევე“¹⁸.

¹⁷ თ. ეთრდან ა. ქრონიკები და სხვა მასალა საქ. ისტორიისა, გვ. 22.

¹⁸ გ. მელიქიშვილი, საქართველოს ძეველი ისტორიის საკითხები, გვ. 313.

ცნობილი ირანისტს მზია ანდრონიკაშვილს მოჰყავს სია პართული წარმომავლობის სიტყვებისა ქართულში¹⁹. აქ აღნუსხულია 66 სიტყვა (აბჯარი, ავაზაკი, ჰამბავი, ჰასაკი და სხვ.), რომელიც პართული წარმომობისად მიაჩნია ავტორს და რომელიც უშუალოდ პართულისაგან ან სომხურის საშუალებით შემოსულა ქართულში. მეორე მხრით, იმავე წიგნში ვკითხულობთ: „რაიმე ხელშესახები პირდაპირი მითითება ან ისტორიული ცნობა ქართლის დამოკიდებულების შესახებ პართულთა სახელმწიფოსთან შემონახული არ არის. ქართული ისტორიული ტრადიცია არ იცნობს სახელწოდებას პართი, ან მის საშ. სპარსულ ექვივალენტს ფაზლავ, ფაზლავანიკ სატომო და გეოგრაფიულ სახელად, რომელიც უშუალოდ ირანულიდან მოდიოდეს; იგი ქართულ საისტორიო წყაროებში შემონახული არა გვაქვს“²⁰. ამ ჩვენმა გამოკვლევამ ეს დაგვანახვა, რომ „ქართლი“ სახე-ცვლილი „პართნი“ არის, ასე რომ არა თუ ისტორიულ წყაროებში, არამედ დღესაც ეს სიტყვა საყოველთათ ხმარებაშია.

საყურადღებოა, რომ ქართ ფუძე მეგრულად ქორთ-ს გვაძლევს (ქორთუ=„ქართველი“). ეს გვავარაუდებინებს, რომ ქართ ფუძის სიტყვები დიდი ხანია იხმარება, ისე რომ საუკუნეთა განმავლობაში მოქამარობა გაეთვალიყო მეგრული შესატყვისი.

რაც შეეხება იმ დაპყრობილ ერს, რომელსაც შეერივნენ დამპყრობი პართულები და თავისი სახელი მისცეს, ეს უნდა ყოფილიყო, როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ. მესხები. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ მცხეთა იყო მესხთა მთავარი ქალაქი. ეს მცხეთა ასე დაიშლება: მცხ-ეთ-ა, საღაც მცხ მიღებულია მსხ კომპლექსისაგან, თანახმად პარმონიული ბგერების კანონისა, ხოლო მსხ არის მესხ სიტყვის შეკუმშული სახე. შეკუმშვა გამოიწვია ეთ სუფიქსის დართვამ. ბოლოკიდურად რომ აზის, იგია კნინობით სახელთა შაწარმოებელი. მსგავსი ფორმაა მოგუეთა, რომელიც ამავე „ქართლის მოქცევაში“ იკითხება: „და მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“²¹. სიტყვა „მცხეთა“ ვერ წარმოდგებოდა, რომ მცხეთაში მესხები არ სახლებულიყნენ. მსგავსი მოვლენაა სამცხ ფ-ში, რომელიც წარმომდგარია სამცხ ე-დან: სამესხ>სამსხ>სამცხ.

24.10.1977

¹⁹ მჩ. ა. წ. დ. რონიკა შვილი, ნარკევევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობი. ც. 1966, გვ. 216—278.

²⁰ იქვე, გვ. 144.

²¹ ე. იაყაიშვილი, Описание..., II, 721.